გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამარ მურალოვას

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 318 საკითხის განხილვაში. საკრებულოს ბიუროს 37 სხდომას და 520 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

ვარ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი, დავესწარი 10 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 50 საკითხის განხილვაში. ასევე, ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 20 საკითხის განხილვაში.

მიმდინარე პერიოდში, როგორც საკრებულოს პროპორციული წევრი პერიოდულად ვესწრებოდი სახვადასხვა სახის ღონისძიებებს და ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს;

აქტიურად ვარ ჩართული ჩემს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებაში, განსაკუთრებით გენდერულად მგძნობიარე საკითხებს ვაქცევ დიდ ყურადღებას, როგორიცაა: სასმელი წყლის, გზების, საბავშვო ბაღების და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც ყველა ქალისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2022-2023 წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს სადაც

გამოვლინდა შემდეგი პრობლემები, რომლებიც სრულად და ნაწილობრივ მოგვარდა:

- სოფლებში მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობის შემდეგ პრიორიტეტი იყოს გზების მოწესრიგება, რადგან მოსახლეობის მხრიდან ასეთ საკითხებზე ხშირია მომართვიანობა.
- მიწისქვეშა კომუნიკაციების შემდეგ ასფალტის საფარის მოწყობა (მაგ.ქიწნისი, ქიწნისის დასახლება, ძევერა და ა.შ).
- საგზაო მონიშვნების ხარისხიანი დახაზვა.
- ნაგვის ურნების რაოდენობის გაზრდა. იქ სადაც არის და რა თქმა უნდა ისეთ ადგილებში საიდანაც ვერ ხერხდება ნარჩენების გამოტანა. სასურველია მომავალ წელსაც რაოდენობის გაზრდა და ასევე მცირე გაბარიტიანი ტექნიკის შეძენა, რომელიც აღნიშნულ პრობლემას მეტწილად მოაგვარებს.
- ეტაპოვრივად დაიგეგმოს ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია სოფლების ადმინისტრაციულ ერთეულებში.

- ქალასი არსებული ე.წ ნარკოლოგიურის შენობის რეაბილიტაცია.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო ბაღებში ინვენტარის განახლება და თანამშრომლების ხელფასების გაზრდა.
- ალ.ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია, ასევე მუზეუმების თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოების გაზრდა.
- სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს ნაწილობრივ გრანტს ვერ სარგებლობს მუნიციპალური პროგრამით და სტუდენტს აქვს სოც. ქულათა რაოდენობა, მიეცეს საშუალება მიიღოს თანადაფინანსება.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

განვლილ პერიოდში მქონდა შემდეგი ინიცირებები:

- გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ცვლილებას, რაც ითვალისწინებს (0-დან 18 წლამდე) იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) დაავადებული ბავშვების სამედიცინო კვლევების თანადაფინანსების განისაზღვრას არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 2000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე“, ასევე (0-დან 18 წლამდე) იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) და (0–დან 18 წლამდე) კაზაბახ-მერიტის სინდრომით დაავადებული ბავშვების სოციალური დახმარებას ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით და ზემოთაღნიშნული დახმარების გაიცემას საზღვარგარეთ მისაღები მკურნალობისთვის.
- გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ცვლილებას, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტების დახმარებას ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
- ასევე, სოციალური დახმარების გაცემის წესსში განისაზღვრა მიცვალებულთა სარიტუალო მომსხურების დიფერენცირება შემდნაირად: გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებითი საცხოვრისით ან მერიის მიერ ქირით უზრუნველყოფილ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება და ასევე უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება, ხოლო დოკუმენტაციის ჩამონათვალს დაემატება-ინფორმაცია მერის წარმომადგენლისაგან გარდაცვლილის უპატრონობის ან/და ოჯახის უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ. ამასთან, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურების საჭიროება განხილული იქნება სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის მიერ.

აქტიურად განვიხილავ ახალგაზრდებისთვის მოწესრიგებულ და ხელმისაწვდომ ინფრასტრუქტურას, ძალიან ბევრ სოფელში გაკეთდა სკვერები და დამონტაჟდა ,,ტრენაჟორები“. მნიშვნელოვანია ყველა სოფელს ქონდეს კეთილ მოწყობილი სტადიონები, სოფელ ქიწნისში უკვე მოწესრიგდა მინი სტადიონი, ხოლო სხვა რაიონებში მიმდინარეობს სამუშაო პროცესები.

სისტემატიურად უამრავ მოქალაქეს ვუწევ დახმარებას ჯანდაცვისა და სამედიცინო ხასიათის საკითხებთან დაკავშირებით, ვუკავშირდები შესაბამის სამსახურებს, რათა გაეწიოთ მათ სწორი და დროული დახმარება.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, რომლის ფარგლებშიც მთელი წლის პერიოდში ვესწრებოდი სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებს.

ამასთან ერთად ჩართული ვარ მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, როგორიცაა სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფი და სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო.

გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში. დავესწარი ფრაქციის 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 95 საკითხის განხილვაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამარ მურალოვას

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი **2023 წლის 23 ოქტომბერი.**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: თამარ მურალოვა;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ძევერის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამარ მურალოვას 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი თამარ მურალოვა, და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს თამარ მურალოვას, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ

პრობლემებს. საკრებულოს წევრმა თამარ მურალოვამ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: რუსუდან მელქუაშვილმა, გიორგი ჯოლბორდმა და კობა ჯოლბორდმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე.

საკრებულოს წევრი : თამარ მურალოვა;